

#ილაპარაკე



საია საქართველოს პარლამენტს ქალთა  
ქონებრივი უფლებების დაცვის  
გარანტიების გაზრდის მიზნით

## საკანონმდებლო წინადადებით მიმართავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართავს, რომლის მიზანია მეულღეთა ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდა, რაც გულისხმობს ქორწინებაში მყოფი პირის მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების რეგისტრაციის შესაძლებლობას მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე. საკანონმდებლო წინადადება განსაკუთრებით ხელს შეუწყობს ქორწინებაში მყოფ ქალთა ქონებრივი უფლებების დაცვას, რადგან საქართველოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ქალების სახელზე ძირითადად არ არის დარეგისტრირებული თანასაკუთრებაში არსებული ქონება და მათ, უმეტეს შემთხვევაში, უწევთ სასამართლოს გზით თანასაკუთრებაზე უფლების აღიარება.

**საკანონმდებლო წინადადება განსაზღვრავს ქორწინების განმავლობაში შექმნილ უძრავი ქონებაზე თანასაკუთრების რეგისტრაციის სპეციალურ წესს.**  რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შეთავაზებული ცვლილებით მეულღეს უფლება აქვს ქორწინების პერიოდში მოითხოვოს ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე თანამესაკუთრედ რეგისტრაცია. უფლების რეალიზაციისათვის საკმარისია მეულღემ საჯარო რეესტრში წარადგინოს ქორწინების მოწმობა ან შესაბამისი ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. ასევე, ქორწინების განმავლობაში შექმნილ უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების რეგისტრაციისათვის მეორე მეუღლის თანხმობის წარდგენა არ არის საჭირო. გარდა ამისა, შემოთავაზებული ცვლილება თანასაკუთრების რეგისტრაციის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ ქორწინების პერიოდში, რადგან განქორწინების შემთხვევაში თანასაკუთრების გაყოფის საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ.

შეთავაზებული ცვლილება უზრუნველყოფს მეულღეთა მიერ ქორწინებაში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების სათანადო რეალიზაციას, შეამცირებს თანასაკუთრებაში არსებული ქონების ერთპიროვნულად განკარგვის რისკებს და მეულღეებს თავიდან აარიდებს სასამართლოში თანასაკუთრების მტკიცების ტვირთს.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საკანონმდებლო წინადადება ეფუძნება **ქ[ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ]** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის **ქ [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ]** 2016 წლის საერთაშორისო პრაქტიკის კვლევას **ქ [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ]** თანასაკუთრება მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში **ქ [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ] [ ]** რომლის საფუძველზეც გამოვლინდა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

საია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს საკანონმდებლო წინადადებაში წარმოდგენილ მოსაზრებებს და უზრუნველყოფს ქალთა ქონებრივი უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნას.